112-ის დროით

№46

მარტი, 2017

მოგესალმებით,

ოქტომბრის თვის მთავარი მოვლენა, „112“-ის რუსთავის ცენტრის 1 წლის იუბილეა. მოგეხსენებათ, რომ ერთი წლის წინ, შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტმა განახორციელა მასშტაბური და მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც გულისხმობდა ალტერნატიული ცენტრის გახსნას ქ. რუსთავში. უკვე 1 ერთი წელია რუსთავის ცენტრი წარმატებით ფუნქციონირებს და თბილისის ცენტრთან ერთად 24 საათის განმავლობაში იღებს ზარებს. რუსთავის ცენტრის შესახებ საინტერესო ინფორმაცია იხილეთ შემდეგ გვერდებზე.

„112“ აგრძელებს გადაუდებელი დახმარების ნომრის შესახებ ცნობადობის ამაღლებას მოზარდებში, ოქტომბრის თვეში პანკისში, ქ. ახმეტასა და ქ. გორში პროექტი „კოსმოსური ხომალდი“ წარმოადგინა. აღნიშნულ პროექტში ასობით ბავშვმა მიიღო მონაწილეობა და თამაშების საშუალებით მიეწოდათ ინფორმაცია გადაუდებელი დახმარების ნომრის შესახებ.

ასევე, გრძელდება სკოლის მოსწავლეების ვიზიტები თბილისის ცენტრში და ოქტომბრის თვეში „112“-მა უკვე 50-მდე ბავშვს უმასპინძლა.

აღნიშნული და სხვა საინტერესო თემები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.

პატივისცემით,

ჟურნალის რედაქცია

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი, სალომე

გელუტაშვილი, ნინო ეკიზაშვილი

დიზაინი თეა კუპრაძე

01 112-ის ალტერნატიულ ცენტრს ერთი წელი შეუსრულდა..... ..... გვ.4-7

02 „112-ის ჯოსმოსური ხომალდი" გვ.8-15

03 სხვადასხვა ქვეყნის დელეგაცია სტუმრად 112-ში გვ.16

04 სკოლის მოსწავლეები სტუმრად 112-ში გვ.17

05 ოპერატორების დისპეტჩერებად გადამზადების ტრენინგი გვ.18-19

06 მამაცი მეხანძრე გვ.21

01 112-ის ალტერნატიულ ცენტრს ერთი წელი შეუსრულდა

2017 წლის 25 ოქტომბერს, „112“-ის ალტერნატიულ ცენტრს ქ. რუსთავში ერთი წელი შეუსრულდა.

რუსთავის ცენტრი გადაუდებელი დახმარების მსოფლიოს საუკეთესო ცენტრების გამოცდილების გათვალისწინებით შეიქმნა. რუსთავის „112“ თბილისის ცენტრის პარალელურ რეჟიმში მუშაობს და მთელი საქართველოს მასშტაბით, მოქალაქეთა ზარებს 24 საათის განმავლობაში იღებს.

ცენტრის მიზანია „112“-ის გამართული, უწყვეტი ფუნქციონირება და თბილისის ცენტრის განტვირთვა და დაზღვევა.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აგებულ და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ „112“-ის რუსთავის ცენტრში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვისაც ადაპტირებული სამუშაო გარემოა შექმნილი.

ალტერნატიული ცენტრის დაარსებით ჩვენ გამოვრიცხავთ „112“-ის საქმიანობის შეფერხებას და უზრუნველვყოფთ გადაუდებელი დახმარების შესახებ შეტყობინებების უწყვეტ რეჟიმში მიღებას.”

გიორგი ბიჭაშვილი
შსს სსიპ „112“-ის დირექტორი



ოპერატიული მართვის სამმართველოს
რუსთავის ცენტრის ოპერატორი

სკოლა ფრიადზე დავამთავრე, ვიყავი მხატვრული კითხვის ლაურეატი. საბავშვო ჟურნალებისა და გაზეთების კორესპონდენტი. ამავე დროს პრეზიდენტის სტიპენდიატი. ერთი სიტყვით კარგი და სასახელო ბავშვობა მქონდა, შემდეგ მინდოდა ისეთი პროფესია ამერჩია, რომ დამეცვა და მემკურნალა ადამიანებისათვის. ეს ოცნებაც ავისრულე. დავამთავრე სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი და იურიდიული ფაკულტეტი.

„112“-ში, ზარის მიმღებ ოპერატორად, რუსთავის ცენტრის გახსნის დღიდან ვმუშაობ. ვმუშაობ ლამაზ, კეთილმოწყობილ შენობაში, სუფთა, ნათელ ოთახებში, სამუშაო ადგილები აღჭურვილია ახალი ტექნიკით. ყველანაირი პირობები გვაქვს შექმნილი იმისთვის, რომ შეუფერხებლად ვიმუშაოთ.

ჩვენი კოორდინატორი ეკა მამაცაშვილი მუდმივად მზად არის, რომ დაეხმაროს თითოეულ ოპერატორს ყველანაირი პრობლემის გადაჭრაში, ასევე ცენტრის უფროსი მარიამ ჭიკაიძე გამოირჩევა ჩვენ მიმართ დიდი ყურადღებით და მზრუნველობით.

მინდა რაც შეიძლება მეტი ზარი მივიღო და ადამიანებმა იგრძნონ, რომ „112“-ის თანამშრომლები მუდამ მზად ვართ მათ დასახმარებლად და თითოეულის სიცოცხლის გადასარჩენად.

მეამაყება რომ ვარ „112“-ის გუნდის წევრი და ვიქნები მუდამ ხალხის სამსახურში.“



ოპერატიული მართვის სამმართველოს
რუსთავის ცენტრის ოპერატორი

2014 წლიდან „112“-ში ვმუშაობ. ოპერატორობა ძალიან საპასუხისმგებლო პოზიციაა. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, რომ თითოეულ მოქალაქეს მოვუსმინოთ ყურადღებით და დროულად გავუწიოთ შესაბამისი დახმარება.

რაც შეეხება, რუსთავის ცენტრს, აღნიშნულ ცენტრში გახსნის დღიდან ვმუშაობ. რუსთავის ცენტრში არის უფრო კომფორტული და მშვიდი სამუშაო გარემო ოპერატორებისთვის. მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ 2016 წლის 25 ოქტომბერს რუსთავის ცენტრის გახსნის დღეს მე მივიღე პირველი ზარი, რომელიც აღმოჩნდა მეტად ემოციური და საპასუხისმგებლო.“



ოპერატიული მართვის
სამმართველოს რუსთავის ცენტრის
ჯგუფის კოორდინატორი

„112“-ში ვმუშაობ 2012 წლიდან, თავდაპირველად ვმუშაობდი ოპერატორის პოზიციაზე, შემდეგ ინსპექტირების სამსახურში, ამჟამად კი რუსთავის ცენტრში ჯგუფის კოორდინატორის პოზიციაზე ვმუშაობ. ყველა ამ პოზიციამ, დაწყებული ოპერატორიდან დღემდე დიდი გამოცდილება მომცა. ჯგუფის კოორდინატორობა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა. წამებში გვიწევს მივიღოთ სწორი გადაწყვეტილება და გადავჭრათ პრობლემა. ჩვენი საქმიანობა განსაკუთრებულად მოითხოვს გვქონდეს სიტუაციის სწრაფად შეფასების უნარი.

მიუხედავად იმისა, რომ ერთიდაიგივე საქმიანობით ვართ დაკავებული რუსთავის და თბილისის ცენტრშიც, გარემოდან გამომდინარე განსხვავებულია სიტუაცია. რუსთავის ცენტრი არის შედარებით პატარა, ამიტომ აქ არის სიმყუდროვე, სიმშვიდე, რაც ძალიან კარგად აისახება ოპერატორების მუშაობაზე. ყველა თანამშრომელი კარგად ადაპტირდება ამ გარემოში. რუსთავის ცენტრის უფროსი მუდმივად ზრუნავს, რომ შეგვიქმნას კარგი გარემო.“

ოპერატიული მართვის სამმართველოს
რუსთავის ცენტრის უფროსი

ცენტრის მუშაობის ერთი წლის სტატისტიკამ გვაჩვენა, რომ ახალი ცენტრის შექმნის მიზანი - მომხდარიყო თბილისის ცენტრის გადაზღვევა და განტვირთვა - მიღწეულია.

რუსთავის ცენტრში ძალიან დამეხმარა ის გამოცდილება, რაც თბილისის ცენტრში მუშაობისას მივიღე. ჩემთვის მთავარია გუნდური მუშაობა, ვცდილობთ ყოველთვის გავითვალისწინოთ ერთმანეთის მოსაზრებები. მოგეხსენებათ, როგორი სტრესული და რთული სამუშაო აქვთ ჩვენს ოპერატორებს და დისპეტჩერებს, ამიტომ კარგი სამუშაო პირობების შექმნა მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რუსთავის ცენტრში კი ყველა ის პირობაა შექმნილი, რაც ეფექტურ მუშაობაში ეხმარებათ. სტატისტიკურმა მონაცემებმაც გვაჩვენა, როგორ მოქმედებს გარემო ფაქტორები მუშაობაზე.

აღსანიშნავია, რომ რუსთავის ქოლ-ცენტრის მოწყობისას, ხელმძღვანელობის მიერ გათვალისწინებულ იქნა ყველა ის ხარვეზი, რაც თბილისის ცენტრში ყოველდღიურ მუშაობაში გვხვდებოდა. დღეს ეს პრობლემები რუსთავის ცენტრში არ გვაქვს.

ჩემი და ჩვენი მთავარი მიზანია, 24 საათის განმავლობაში, ქოლ-ცენტრი გამართულად მუშაობდეს, ვფიქრობ ამას წარმატებით ვუმკლავდებით. ჩვენი მთავარი გამოწვევაა მოქალაქეებს შევთავაზოთ მაღალი დონის მომსახურება და თითოეული ჩვენი ნაბიჯი ამას ემსახურება.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო რუსთავის ცენტრის კოორდინატორებს, ოპერატორებსა და დისპეტჩერებს ერთი წლის განმავლობაში ეფექტური მუშაობისთვის.“

02 „112-ის კოსმოსური ხომალდი“

მიმდინარე წლის 30 სექტემბერს, 1 და 15 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სოციალური კამპანიის - „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“ ფარგლებში, იმიტირებული უსაფრთხო ქალაქი, სახელწოდებით - „ეს ჩემი ქალაქია“ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისში, პანკისობის სახალხო დღესასწაულზე, ასევე ქალაქ ახმეტაში, ბიძინა ჩოლოყაშვილის ხსენების დღესთან დაკავშირებით გამართულ სახალხო დღესასწაულსა და ქალაქ გორში, „გორის დღეები 2017“-ზე წარმოადგინა.

იმიტირებულ ქალაქში შსს-ს „112“-ის დეპარტამენტმა ინოვაციური საბავშვო პროექტი - „112-ის კოსმოსური ხომალდი“ წარმოადგინა, სადაც მოზარდებმა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სპეციალურად მათთვის შექმნილ კომპიუტერულ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ პროექტის მონაწილეები განსაკუთრებული შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ პანკისის ხეობიდან და ეს შთაბეჭდილებები ჟურნალის მკითხველებსაც გაგვიზიარეს:

თორნიკე გოგოლაძე - ბობაFეტი

112-ის კოსმოსური ხომალდის" წევრი რამდენჯერმე ვიყავი და სხვადასხვა რეგიონში ვიმოგზაურე. ყველა რეგიონის მოსახლეობა განსხვავებულია. ყოველთვის სხვადასხვა ემოციით ვბრუნდები ხოლმე, მაგრამ ყველაზე გასაოცარი იყო პანკისის ხეობა.

ყველამ თავიდანვე ვიცოდით, სადაც მივდიოდით და ისიც განვიხილეთ, თუ რა ბარიერები შეიძლებოდა შექმნილიყო. ვიცოდით, რომ პანკისის მოსახლეობას განსხვავებული კულტურა, ენა, რელიგია და შეხედულებები აქვს. ჩავედით და მივხვდით, რომ საერთოდ სხვაგან მოვხვდით...

ეს პატარა მხარე რადიკალურად განსხვავებულია დანარჩენი საქართველოსგან. ხალხს უცხო იერი აქვს. კანი მუქი აქვთ, მაგრამ ამავდროულად, ყველა ქერა და ცისფერთვალებაა. თავიდან ერიდებოდათ მოსვლა და კითხვების დასმა. არ იცოდნენ რა ხდებოდა და რატომ ვიყავით ასეთი კოსტიუმებით. თუმცა „112"-ის ენერგიულ და მოტივირებულ გუნდთან ერთად შევძელით ხალხის დაინტერესება. შანსს არ ვუშვებდით, რომ რაიმე გვეკითხა მათთვის. გაგვეგო უფრო მეტი მათ კულტურაზე. შევეცადეთ რამდენიმე სიტყვა ქისტურადაც გვესწავლა, თუმცა ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

ხალხი ძალიან მეგობრული და სტუმართმოყვარეა. პირველად ვნახე, რომ ბავშვები იდეალურად მოწესრიგებულ რიგში იდგნენ და ერთმანეთს არ ეჩხუბებოდნენ. მოკლედ ეს იყო ჩემი ყველაზე დასამახსოვრებელი მივლინება. დავიტვირთეთ ემოციებით და სახლისკენ მიმავალ გზაზე დაღლაზე წუწუნის მაგივრად ვიხსენებდით ყველა იმ მომენტს, რომელიც პანკისში გადაგვხდა - It was amazing!"

მეკო კეკელიძე - მარიაFუტურა

მე 112-ის ოპერატორი ვარ, ეს ძალიან რთულია. უნდა შეგეძლოს გარემოზე მორგება, სწრაფი ადაპტირება და ოპერატიულად მუშაობა. თითოეულ ჩვენგანს დროის მცირე მონაკვეთში უწევს რამდენიმე პროფესიის შეთავსება: ექიმის, ფსიქოთერაპევტის, კრიმინალისტის... ერთ დღესაც, კოსმოსური ხომალდის უცხოპლანეტელი წევრებიც კი გავხდით და დავიწყეთ რაიონებში მოგზაურობა. ჩვენი „კოსმოსური ხომალდით“ ბევრჯერ გავაოცეთ ჯადოსნურ ქალაქში მოხვედრილი მოზარდები. და რაც ყველაზე მთავარია - დღეს მათ იციან, როგორ მოიქცნენ, როცა გადაუდებელი დახმარება დასჭირდებათ. ყველაზე სასიამოვნო მოგონება კი, რა თქმა უნდა, პანკისობაა. დუისი სრულიად სხვა მუხტით დაგვხვდა. ბავშვები გვიყვებოდნენ მათ ცხოვრებასა და ტრადიციებზე. თითქმის ყოველ მათგანს დიდი ზღვისფერი თვალები და ოქროსფერი თმა აქვს. მათი საოცარი ხიბლი ჩვენი ფოტოგრაფისთვის შთაგონების წყაროდ იქცა და ეს დაუვიწყარი დღე ფოტოებზე აღიბეჭდა."

ანანო აბაშიძე - აინე

პროექტის ფარგლებში „112“-ის თანამშრომლებმა ვიმოგზაურეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეში. ჩემთვის დასამახსოვრებელი იყო პანკისის მოსახლეობა და ახალგაზრდა თაობა. ისინი დიდი ინტერესით თამაშობდნენ ჩვენს თამაშებს და იღებდნენ ინფორმაციას „112“-ის შესახებ. გამოირჩეოდნენ ყურადღებით და თბილი დამოკიდებულებით ჩვენ მიმართ.

კვლავაც ჩავერთვები დიდი პასუხისმგებლობით ამ გამოწვევაში."

სოფო ბერიკელაშვილი - მარსიანა

„აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას ვიღებ მისი დაწყების დღიდან, რაც ძალიან სასიამოვნო და პოზიტიური პროცესია. „112-ის კოსმოსური ხომალდი“ ცდილობს ბავშვების ინფორმირებულობის დონე აამაღლოს. ბავშვებს თამაშების საშუალებით ვასწავლით, რა შემთხვევაში უნდა განახორციელონ ზარი ჩვენს სამსახურში და როდის არ უნდა დაგვიკავშირდნენ.

„112-ის კოსმოსურ ხომალდთან“ ერთად ქ. ბათუმს, ქ. თელავს, ქ. ახალციხეს და ქ. ახმეტას ვესტუმრე. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ახმეტის რაიონ, სოფელ დუისში, პანკისის ხეობაში გამართული დღესასწაული „პანკისობა“. ხეობა ძირითადად ქისტებითაა დასახლებული. მათ ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი მრავალი ელემენტი შეიძინეს, თუმცა საკუთარიც მყარად აქვთ შენარჩუნებული. ძირითადად დღესასწაულზე შეინიშნებოდნენ მამაკაცები, ხოლო ქალები ნაკლებად. თუმცა, იყვნენ გოგონებიც, რომლებმაც ჩვენთან ერთად ითამაშეს. მოსახლეობას განსაკუთრებული გარეგნობა და საუბრის მანერა აქვს. ძალიან განსხვავებულები არიან.“

ნიკოლოზ გულორდავა - კეპლერი

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი „კოსმოსური ხომალდით“ სხვადასხვა რეგიონში ვმოგზაურობთ. ყველა კუთხის მცხოვრები ბავშვები ძალიან განსხვავებულები და გამორჩეულები არიან.

არ შემიძლია, არ გამოვყო პანკისის ხეობაში მცხოვრები ბავშვები, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი კულტურით და ძალიან კარგად ქონდათ გაცნობიერებული, თუ როგორ უნდა დახვედროდნენ მათთან ჩასულ სტუმარს. მათი დამოკიდებულება ჩვენ მიმართ იყო განსაკუთრებული.“

თეა კაპანაძე - ლილუ

"პროექტში - „112-ის კოსმოსური ხომალდი“ აქტიურად ვიღებ მონაწილეობას. ჩვენ მიმართ დამოკიდებულება ყველა რეგიონში ერთნაირად პოზიტიური იყო. ძალიან სასიხარულო და მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ბავშვები „112“-ის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას ფლობდნენ, მაგრამ თუ რომელიმე თემა მათთვის არ იყო ცნობილი, თავად მისვამდნენ კითხვებს, ინიციატივა მოდიოდა მათგან, რათა მეტი ინფორმაცია მიეღოთ.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო პანკისის ხეობაში, კერძოდ სოფელ დუისში ჩვენი ვიზიტი, რადგან აქ მცხოვრები ბავშვები და ამ კუთხეში მცხოვრები მოსახლეობა დიდი ინტერესით და აქტიურობით გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად ენის ბარიერი იყო, ისინი მაინც ახერხებდნენ ჩვენთან კომუნიკაციას და ეს არ იყო მათთვის ხელისშემშლელი ფაქტორი. გარემოში ინტეგრირებისთვის, ბავშვებთან გამოვთქვი სურვილი, მათ ენაზე ესწავლებინათ ჩემთვის რამდენიმე მარტივი სიტყვა, რაც დიდი სიხარულით მიიღეს, მასწავლიდნენ და ვცდილობდი ჩემთან მოსულ თითოეულ მათგანს, თუნდაც მათ ენაზე მივსალმებოდი. ეს ფაქტორი მათ ძალიან ახარებდათ.

ყველა რეგიონში, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ჩემი მონაწილეობა განსაკუთრებული და დაუვიწყარია. მადლობას ვუხდი თითოეულ ჩემს თანამშრომელს, ვინც ჩამრთო ამ მართლაც საჭირო და საინტერესო პროექტში, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია ყველა შეხვედრა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მაცხოვრებლებთან."

ნუცა გაბისონია – გალაქსინა

„112“-ის პროექტ - „კოსმოსური ხომალდის“ ფარგლებში ვიმყოფებოდით საქართველოს სხვადასხვა რაიონსა და ქალაქში. მათ შორის აღსანიშნავი და დასამახსოვრებელი იყო პანკისის ხეობა. აღფრთოვანებით გადმოგცემთ პანკისურ შთაბეჭდილებებს.

პირველი აზრი, რამაც პანკისელი ბავშვების დანახვისას გამიელვა, იყო ის, რომ „ალბათ ასეთები არიან ინდიგო ბავშვები“: ულამაზესი, ღია ფერის თვალები, მუქი ფერის, მოოქროსფრო კანი, და მბზინვარე თმა განსაკუთრებულ იერს აძლევდა მათ გარეგნობას. თითქოს მთელი სამყარო აქვთ თვალებში მოქცეული და ყველა ფერი ციმციმებს იქ, მაგრამ მაშინვე იქცევდა ყურადღებას მათი ქცევის მანერა, გარშემო ბევრი - ბიჭი და ცოტა - გოგო. მათივე თქმით, არ არის მიღებული გოგონებმა ხალხმრავალ თავშეყრის ადგილებში იარონ.

პატარა ბიჭი - რომელიც ცდილობს ფეხზე გახდას, პატივისცემის ნიშნად, ხელოვნურ მწვანე საფარზე გადმოსვლისას. 12-13 წლის გოგო - რომელსაც არ აქვს პასუხი კითხვაზე, რატომ ახურავს თავსაბურავი. არ ქონდათ ინფორმაცია, თუ რა დროს შეიძლება დასჭირდეთ „112“-ის სამსახური. პრობლემებს იქვე შინაურულად აგვარებენ. მხოლოდ ზოგიერთმა იცოდა, რომ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახება შეუძლიათ ამ ნომრით."

TEA KUPRADZE PHOTOGRAPHY

TEA KUPRADZE PHOTOGRAPHY

TEA KUPRADZE PHOTOGRAPHY

TEA KUPRADZE PHOTOGRAPHY



ფოტოების ავტორი - თეა ჯუჯაძე
www.facebook.com/Tea-Kupradze-Photography

03 სხვადასხვა ქვეყნის დელეგაცია სტუმრად 112-ში

შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტს, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, სხვადასხვა ქვეყნის დელეგაცია ესტუმრა. კერძოდ, ავსტრიელი ექსპერტი - დიტერ პილატი, იტალიის რესპუბლიკის საპოლიციო ძალების გადამზადების სკოლის დირექტორი, ფინანსური გვარდიის დივიზიის გენერალი - ჯენარო ვეკიონე, ნეტუნოს ინსპექტორთა ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო პოლიციის გენერალი - ჯოვანი ბუსაკა და პოლონეთის ინტერპოლის განყოფილების უფროსი.

სტუმრები საქართველოში გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში არსებულ სიტუაციას გაეცნენ და ქვეყანაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ნომრის - „112“-ის ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს. დელეგაციის წევრებს საშუალება მიეცათ ადგილზე გაცნობოდნენ „112“-ის ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას და დაკვირვებოდნენ ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუშავების პროცესს.

სტუმრებმა ცენტრი დაათვალიერეს და „112“-ის წარმომადგენლებისგან სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს.

04

სკოლის მოსწავლეები სტუმრად 112-ში

მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, შსს-ს „112“-ის დეპარტამენტს, საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტის - „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ ფარგლებში, თბილისის #172-ე და #175-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ.

ვიზიტის ფარგლებში, სკოლის მოსწავლეები გაეცნენ სამსახურის მუშაობის სპეციფიკას, მიიღეს ინფორმაცია გადაუდებელი დახმარების ნომრის - „112“-ის შესახებ, რომლის მიზანია მოქალაქეთათვის გადაუდებელი შემთხვევების დროს დახმარების აღმოჩენა, მთელი საქართველოს მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში.

ასევე, ბავშვებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ და რა დროს უნდა დარეკონ და რომელი გადაუდებელი სამსახურის ბრიგადების გამოძახებაა შესაძლებელი „112“-ზე დარეკვით. პროექტის მიზანია, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობის გზით. ასევე, ახალგაზრდებში სამართლებრივი ცნობიერების, მართლშეგნებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა.

05 ოპერატორების დისპეტჩერებად გადამზადების ტრენინგი

მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, „112“-ის ადამიანური რესურსების სასწავლო ცენტრში „ოპერატორების დისპეტჩერებად გადამზადების ტრენინგი“ ჩატარდა. ტრენინგი, 23 ოქტომბერს დაიწყო და 8 სამუშაო დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ტრენინგის მიზანი იყო „112“-ის ოპერატორების უნივერსალ ოპერატორებად გადამზადება. აღნიშნული გულისხმობს, მათთვის დისპეტჩერიზაციის პროგრამის დეტალურ შესწავლასა და ამ პოზიციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ტრენინგის დასრულების შემდგომ „112“-ის ოპერატორი, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, შეძლებს როგორც ოპერატორის, ასევე დისპეტჩერის ფუნქცია -მოვალეობების შესრულებას.

ტრენინგზე განხილული ძირითადი თემები იყო:

- დისპეტჩერის ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა და მნიშვნელობის გააზრება
- სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის დისპეტჩერიზაციის ძირითადი განმასხვავებელი საკითხები
- ბაზების მნიშვნელობა და მათში მუშაობის სპეციფიკა
- თბილისის რუკის გამოყენების სპეციფიკის შესწავლა და მასზე დატანილი მისამართების სწორად განსაზღვრა
- გუნდში მუშაობის თავისებურებები
- როლები და კომუნიკაცია გუნდში
- მომიჯნავე სამსახურებთან ეფექტური კომუნიკაციის მართვის ტექნიკები.

აღსანიშნავია, რომ ტრენინგების განმავლობაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების მიზნით, „112“-ის რუსთავის ცენტრში მოეწყო ე.წ. „სიმულაციური“ ოთახი, სადაც ტრენინგის მონაწილეებისათვის შექმნილია მუშაობის პროცესთან მაქსიმალურად მიახლოებული გარემო. მათ ეძლევათ საშუალება ტრენერთა დაკვირვების ქვეშ პრაქტიკულად განახორციელონ, როგორც სასწრაფო-სამედიცინო, ასევე საპატრულო დისპეტჩერიზაცია და გამოიმუშაონ უნივერსალი ოპერატორისათვის საჭირო უნარები.

აღნიშნულ ტრენინგს უძღვებოდნენ სასწავლო ცენტრის თანამშრომლები: დავით ბუშელაშვილი, ოთარ მაისურაძე, ლელა მერაბიშვილი.

სიმულაციური ოთახი

ეს საინტერესოა...

06 მამაცი მეხანძრე

სამი წლის ასაკში ყველა ბავშვი ოცნებობს გარკვეულ პროფესიაზე. ზოგს სურს, პოლიციელი გახდეს, ზოგს ექიმი, ზოგს კი მეხანძრე. თუმცა 3 წლის ბიჭს - ტრაქერს, ოცნება დაავიწყდა, რადგან იგი 1 წლისა და 6 თვის განმავლობაში სიმსივნეს ებრძოდა.

ბავშვის ოჯახი ჰავაიზე ცხოვრობდა, მაგრამ მკურნალობის გამო ისინი ნიუ-იორკში გადასახლდნენ.

პატარა ბიჭი ყოველთვის ოცნებობდა მეხანძრეობაზე. სწორედ ამიტომ, ნიუ-იორკელმა მეხანძრეებმა მას სიურპრიზი გაუკეთეს და საავადმყოფოში ესტუმრნენ, ბევრი ითამაშეს და არაერთი ემოციური ფოტო გადაიღეს. 3 წლის ტრაქერი მშობლებს ასეთი ბედნიერი არასდროს ენახათ.

მეხანძრეებმა ტრაქერს პირობა ჩამოართვეს, რომ როცა იგი გაიზრდება, აუცილებლად შეუერთდება მეხანძრეთა გუნდს.

ამ შემთხვევიდან თითქმის ორწლიანი ბრძოლის შემდეგ, ტრაქერის ორგანიზმიდან სიმსივნური უჯრედები გაქრა...

ტრაქერი კვლავ ნიუ-იორკში ცხოვრობს, მან უამრავი მეგობარი შეიძინა და ფიქრობს, რომ როდესაც გაიზრდება აუცილებლად შეასრულებს მეხანძრეებისთვის მიცემულ პირობას და უამრავ ადამიანს გადაარჩენს!

წყარო: www.oxotv.com



112

www.112.gov.ge
www.facebook.com/112.ge